

5. ნიადაგების დაბინძურების არიდება და მინიმიზირება

ნიადაგები არა მხოლოდ ფილტრავენ, ბოჭავენ და ანეიტრალეზენ დამაბინძურებელ ნივთიერებებს, არამედ შეუძლიათ გამოარჩიონ ისინი გარემო სივრცის ცვლილებების პირობებში (მაგალითად, მძიმე მეტალების განთავისუფლება pH-ის შემცირების დროს). მაშასადამე, ნიადაგის დაბინძურების აცილება რჩება ჯანმრთელი ნიადაგების შენარჩუნების და კვების პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

დამაბინძურებელი ნივთიერებები ნიადაგში შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის სასოფლო სამეურნეო წარმოების მიღმა ფაქტორების, ნარჩენების ჩაფლვის, ატმოსფერული ჩამონაცვენის, წყალმოვარდნის, ირიგაციული წყლის, ავარიული დაღვრის, ქალაქის ნარჩენების, ჩამდინარე წყლების არამართებული მოხმარებით და სხვა. დაგროვება და დაბინძურება ხდება, როდესაც მოცემული დამაბინძურებელი ნივთიერებების დანამატის სიჩქარე/სისწრაფე მეტია ნიადაგის სისტემიდან მათი მოცილების სიჩქარეზე. ნეგატიურ შემდეგქმედებაში შეიძლება ჩაერთოს მცენარეზე ტოქსიკური ზემოქმედება პროდუქტიულობის დაცემით., სამეურნეო საზღვრებს გარე ტერიტორიების და წყლის დაბინძურება შემონატანის/ნარიყის გადაადგილების გზით, რასაც მოყვება ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობისათვის გაზრდილი რისკი სასურსათო ჯაჭვის განმავლობაში.

- მთავრობებს ეძლევათ წინადადება შეიმუშაონ და დანერგონ დამაბინძურებლების დაგროვების დადგენილ დონეზე ზემოთ მათი შემზღვეველი პირობები/წესები ხალხის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დასაცავად., ამასთან ერთად, ხელი შეუწყონ დაბინძურებული ნიადაგების გაჯანსაღებას, რომელთათვის ეს დონეები გადამეტებულია.
- ნიადაგების დაბინძურების ადგილობრივი კონტროლი მოითხოვს ფონური დონეების განსაზღვრას და შემდგომ ანალიზებს, მონიტორინგს და დაბინძურების დონეების შეფასებას, იმ ნაკვეთების განსაზღვრისათვის, რომლებიც უფრო მეტი ალბათობით შესაძლოა დაბინძურდეს. ხალხის და ეკოსისტემების რისკების შესამცირებლად საჭიროა ჩატარდეს რისკების შეფასება, რეკულტივაციასთან ერთად ჯამური ხარჯის ჩათვლით.
- აუცილებელია გამოვლინდეს დიფუზური დაბინძურების მავნე ზემოქმედების უფრო მეტად ამთვისებელი/მიმღები ნიადაგები და ჯეროვანი ყურადღება.

მიექცეს ამ ნიადაგების დამაბინძურებლებით გადატვირთვის შემცირებას.

- დაბინძურებული ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია მისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.
- დაბინძურებული ნიადაგების გამოყენება არ შეიძლება სურსათისა და საკვების საწარმოებლად.
- გაწმენდილი/გასუფთავებული წყლის ჩანადენიდან მიღებული/მოპოვებული საკვები ნივთიერებების წრებრუნვაში დაბრუნება, ან სხვა ნარჩენებიდან, რომლებიც გამოიყენება ნიადაგის გასაუმჯობესებლად, უნდა მოხდეს მხოლოდ მათი ჯეროვანი გადამუშავებით, დამაბინძურებლების შემცველობის შემოწმებით და მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ნივთიერებების განსაზღვრით., მაგალითად, ორგანულ ქსენობიოტიკებს შეუძლიათ წარმოაჩინონ სერიოზული, გაუთვალისწინებელი და შეუქცევადი ხიფათი ნიადაგის ნაყოფიერების და ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
- მეურნეობის საზღვრებს მიღმა ზემოქმედების ასარიდებლად, ბრინჯის მინდვრებიდან წყლის გადაგდება სასუქების და პესტიციდების შეტანის შემდეგ საჭიროა დაიყვანებოდეს მინიმუმამდე.